

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 595712727

N 238
04/06/2018

238-07-3-201806040926



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 30 მაისს გაიმართა ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს ფრაქციის სხდომა. გიგზავნით აღნიშნული სხდომის ოქმს.

დანართი: ოქმი N 8- 8(რვა) ფურცელი

პატივისცემით,

ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“
სხდომის ოქმი №8

ქ.ლანჩხუთი

30.05.2018 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ზესიკ კუპრაძე

ფრაქციის წევრები:

კახა ბოლქვაძე, ციციხო მზაიძე, რევაზ კვერენჩილაძე, ცისანა ურუშაძე, გიორგი გვარჯალაძე, ვლადიმერ ნანაძე, კახა თედორაძე, რეზო კვაჭაძე.

მოწვეული პირები:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელენე იმნაძე, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, მამუკა ვადაჭკორია.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ზესიკ კუპრაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ბ.კუპრაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ბ.კუპრაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ბ.კუპრაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატრიო მოქალაქის“ წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ბ.კუპრაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ბ.კუპრაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების წესებისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ბ.კუპრაძე/

7. სხვადასხვა

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო წესებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააგნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა, ელიკო იმნაძემ. მან აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილების პროექტი მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ლევან ჩხაიძის 2018 წლის 17 აპრილის N444 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი სამსახურის დაქვემდებარებაში არსებული მეორადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განყოფილების, მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს (წამყვან სპეციალისტს) აქვს

მუშაობის დატვირთული გრაფიკი, შესაბამისად, ითხოვს მოხელის კარიერულ განვითარებას (იმევე იერარქიულ რანგში დაბალი თანამდებობიდან მაღალ თანამდებობაზე გადაყვანა) და აღნიშნული სამტატო პოზიციის შეცვლას მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (მთავარი სპეციალისტი) პოზიციით.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა საკითხს:
მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, მამუკა ვადაჭკორიამ. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები არის ტექნიკური ხასიათის, რომლის მიხედვით, „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის №34 დადგენილებაში (ვებგვერდი 10/08/2015წ, სარეგისტრაციო კოდი: 210020020.35.112.016235) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) დადგენილების მე-11 მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებული „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია“ დანართი N1-ის I-ლი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ხელშეკრულების გაფორმებას ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და მოსაკრებლის ამოღებას უზრუნველყოფს მერიის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“, რომლის შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური.

ბ) დადგენილების მე-11 მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებული „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია“ დანართი N1-ის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ქვითარი შენახული უნდა იქნეს ერთი წლის განმავლობაში. ქვითრის დაკარგვის შემთხვევაში მის აღდგენას დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ახდენს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური.“

გ) დადგენილების მე-11 მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებული „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია“ დანართი N1-ის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 7. კონტროლი მოსაკრებლის გადახდევინებისთვის

დასუფთავების წესების დარღვევაზე და დამრღვევთა მიმართ „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ნორმების განხორციელებაზე კონტროლი ეკისრება ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს.“

დ) დადგენილების მე-11 მუხლის „ბ“ პუნქტით დამტკიცებული „დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების განკარგვის წესი“ დანართი N2-ის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დაგვა-დასუფთავების ობიექტების ჩამონათვალს ადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია.“

ე) დადგენილების მე-11 მუხლის „გ“ პუნქტით დამტკიცებული „დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირებისათვის დაწესდეს დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი და მისი ოდენობა“ დანართი N3-ის 26-ე გრაფა ამოღებულ იქნას.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა საკითხს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის	წესრიგის	მესამე	საკითხი	„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ფრაქცია“ ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №30 დადგენილებაში (ვებგვერდი 02/10/2015წ, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.112.016312) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:
------	----------	--------	---------	---

ა) დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება“ დანართი N1-ის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საბჭოზე გასატან საკითხებს ამზადებს და დღის წესრიგის პროექტს ადგენს საბჭოს მდივანი, რომელიც თანამდებობრივად არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსაზღვრული მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებში პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.“

ბ) დადგენილების მე-2 მუხლის დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება“ დანართი N1-ის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსაზღვრული გამგეობის გენდერული თანასწორობის საკითხებში პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.“

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა საკითხს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის	წესრიგის	მეოთხე	საკითხი
„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის“ წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ფრაქცია“ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარემ ზესიკ კუპრაძემ.			

ფრაქციის თავმჯდომარემ ზესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა საკითხს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ფრაქცია“ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარემ ზესიკ კუპრაძემ მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის №22 დადგენილების (ვებგვერდი 06/07/2016წ, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.112.0162735) პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესში“ შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული დოკუმენტების მიღება- რეგისტრაციას და მათ პირველად დამუშავებას ახორციელებს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილება.“

ბ) მე-4 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. მატერიალური სახით შემოსული დოკუმენტების დედნები ინახება მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილებაში.“

ფრაქციის თავმჯდომარემ ზესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა საკითხს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააგნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, მამუკა ვადაჭკორიამ. მან აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული განკარგულების ცვლილების პროექტის მოწაადება განაპირობა სამართლებრივი აქტით დამტკიცებული, ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომანქანების) შეფასებამ და შემდგომ მისი ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმაში გადატანამ.

„ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტის დამტკიცების შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერიას მიენიჭება უფლებამოსილება განკარგოს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმაში არსებული მოძრავი ქონება და განახორციელოს მისი პრივატიზება.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა საკითხს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხვადასხვა

დეპუტატმა ცისანა ურუშაძემ აღნიშნა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საჭიროა იყოს მაქორიტარი დეპუტატებისთვის განკუთვნილი ოთახები შესაბამისად აღჭურვილი ტექნიკით.

დეპუტატმა კახა თედორაძემ აღნიშნა, რომ მერის წარმომადგენლებს ვისაც არ აქვს კომპიუტერი და ქსეროქსი ხშირად უწევთ ქალაქში ჩამოსვლა ელემენტარული საჭიროებისათვის. მისი თქმით ტექნიკის შეძენა გაადვილებს მათ მუშაობს და უფრო ეფექტურს გახდის. ასევე მან აღნიშნა რომ აუცილებელია გრიგოლეთის პლიაჟის გაწმენდა რადგან სულ ცოტა ხანში დაიწყება სეზონი და მოსაწერიგებელია აღნიშნული ტერიტორია. მან ასევე ისაუბრა აზიური ფაროსანას შეწამვლის საკითხზე და აღნიშნა, რომ შეწავლითი საშუალები მიმდინარეობს ხარვეზებით, ხშირ შემთხვევაში არ იწამლება ხარისხიანად.

ფრაქციის თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძემ აღნიშნა, რომ თუ მუნიციპალური პლიაჟის გაწმენდის შემდეგ თუ მოხდება მისი გაქირავდება, ის გაზრდის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავალს.

დეპუტატმა ვლადიმერ ნანაძემ აღნიშნა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე პარკინგის შემოღება შესაბამისად განკუთვნილ ადგილებში იქნება კარგი ინიციატივა და ის ასევე გაზრდის შემოსავალს ადგილობრივ

ბიუჯეტში ასევე მან აღნიშნა რომ NI პრობლემად დღემდე რჩება ქალაქში მუნიციპალური საპირფარეშოს არარსებობა, საჭიროა აღნიშნული თემის მოწესრიგება უახლოეს მომავალში, რადგან ზაფხულის პერიოდში იზრდება გამწვანებული ტურისტების რაოდენობა და პრობლემა მართლაც ძალიან მძაფრად იჩენს თავს.

დეპუტატმა რეზო კვაჭაძემ აღნიშნა, რომ რამოდენიმე დღის წინ ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში მომხდარმა სტიქიამ დააზიანა თხილის ფართობები და სახლებამდე მისასვლელი რამდენიმე გადასასვლელი. მისი მხრიდან მოხდა აღნიშნული სტიქიის ადგილზე დასურათება და ინფორმირება შესაბამისი სამსახურის, მაგრამ მიუხედავად ამისა ვერჯეროვით რეაგირება არ მომხდარა.

დეპუტატმა კახა ზოლქვაძემ აღნიშნა, რომ ყოველდღიურად ქალაქის ტერიტორიაზე N 1 საჯარო სკოლის მიმდებარედ გზაჯვარედინზე ხდება საქონლის გადარეგვა, რადგან არის ცენტრალური მაგისტრალი საჭიროა შესაბამისი საგზაო ნიშნის განთავსება, რათა თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი საფრთხე.

დეპუტატმა გიგინო ჩხაიძემ აღნიშნა, რომ საჭიროა აღირიცხოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა ავარიული შენობა, რომელიც დღემდე რჩება ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე და მოხდეს გადმოცემა მუნიციპალიტეტის, რათა მოხდეს ამ შენობების დანგრევა ან შეკეთება ან გადაკეთება მიზნობრივად. მათ შორის ყოფილი ინტერნატის შენობა, რომელიც ყოველდღიურად ინგრევა შესაძლებელია გადაკეთდეს უსახლკაროების თავშესაფრად. ასევე ყოფილი კინოს შენობა თავისუფლების ქუჩაზე რომელიც ნამდვილად ანტისანიტარიის ბუდეა. დღემდე ვერ მოხერხდა მისი მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემა.

ფრაქციის წევრებმა იმსჯელეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებულ და განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და აღნიშნეს რომ საჭიროა ინფრასტრუქტურის სამსახურის კიდევ უფრო ეფექტური და ხარისხიანი მუშაობა, ასევე ზედამხედველობის და ინფრასტრუქტურის სამსახურების უფრო აქტიური კონტროლი ხარისხზე და გაცემულ იქნას მოსახლეობის მხრიდან შემოსულ განცხადებებზე დროული პასუხი.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ფრაქცია
„ქართული ოცნება-დემოკრატიული
საქართველოს“ თავმჯდომარე:



ბესიკ კუპრაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი
30.05.2018 წელი

სახელი, გვარი	დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – ზესიკ კუპრაძე	13:54	ჭ. თოჭ
2. ზესიკ ტაბიძე	სა ესტუდიო	ჭ. თოჭ
3. ვლადიმერ ნანაძე	13:54	ჭ. თოჭ
4. გოდერძი ქურიძე	სა ესტუდიო	ჭ. თოჭ
5. კახა თედორაძე	13:55	ჭ. თოჭ
6. რეზო კვაჭაძე	13:55	ჩ. ჭ. თოჭ
7. ციციშვილი მზაძე	13:58	ჭ. თოჭ
8. ზაალ სანაძე	სა ესტუდიო	ჭ. თოჭ
9. ცისანა ურუშაძე	13:55	ჭ. თოჭ
10. გიორგი ჩახვაძე	სა ესტუდიო	ჭ. თოჭ
11. გიორგი გვარჯალაძე	13:59	ჭ. თოჭ
12. დავით მხარტიშვილი	სა ესტუდიო	ჭ. თოჭ
13. თორნიკე ტიკაძე	სა ესტუდიო	ჭ. თოჭ
14. კახა ზოლქვაძე	13:58	ჭ. თოჭ
15. რევაზ კვერენჩილაძე	14:00	ჩ. ჭ. თოჭ